ბრძანება:**ბ01. 01231565**

თარიღი:**05/06/2023**

ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი N121-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.01.001.080) არსებული ობიექტის ავტოგასამართი კომპლექსის (აიგასამართი სადგური, დიზელი და ბენზინგასამართი სადგური) ფუნქციით რეკონსტრქუციის მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-2, მე-9 და მე-13 პუნქტებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N012314111-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი N121-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.01.001.080) არსებული ობიექტის ავტოგასამართი კომპლექსის (აიგასამართი სადგური, დიზელი და ბენზინგასამართი სადგური) ფუნქციით რეკონსტრქუციის მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება.

2. წინამდებარე ბრძანების მოქმედების ვადაა გამოცემიდან 2 (ორი) წელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ N012314111-67 განცხადებასთან დაკავშირებით მომზადებულ დასკვნასთან ერთად.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერს) ირაკლი ხმალაძეს.

5. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **დ16.01231561**
თარიღი: **05/06/2023**

დასკვნა

სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის თაობაზე

შედეგი:	თანხმობა
განაცხადი	
განცხადების ნომერი:	012314111-67
განცხადების თარიღი:	21/05/2023
ნომენკლატურა :	სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საგამონაკლისოდ დასაშვები ფუნქციური დანიშნულების სახეობა /
მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი	
საკადასტრო კოდი :	01.13.01.001.080
მისამართი :	ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 121
მესაკუთრეები :	შპს ნეოგაზი,
განმცხადებელი-დამკვეთი	
განმცხადებელი :	ლევან ინასარიძე
პირადი ნომერი :	01008007119
მისამართი :	საქართველო, ქალაქი თბილისი, ნიკოლოზ ყიფშიძის ქუჩა, N 10, ბინა 99
დამკვეთის ინფორმაცია :	
დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი :	ნუგზარ ნათობაიძე
ტერიტორიის გამოყენების სახეობა :	
ტერიტორიის გამოყენების სახეობა :	ავტოგასამართი კომპლექსი
კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი :	347.3
მოთხოვნის შინაარსი :	

მოთხოვნის ტექსტი :	მოგესალმებით. გთხოვთ განიხილოთ წარმოდგენილი მასალები და 27/05/2016 წლის 14-39 დადგენილების შესაბამისად, საგამონაკლისოდ დასაშვებად ცნოთ საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ში (სსზ-2) მდებარე მიწის ნაკვეთზე განთავსებული აირგასამართი სადგურის ტერიტორიის გამოყენება რეკონსტრუქციისათვის (შემდგომში ავტოგასამართი კომპლექსი).
განმარტებითი ბარათი :	
განმარტებითი ბარათის ტექსტი :	საკვლევი არეალი მდებარეობს ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N121 (ს/კ 01.13.01.001.080) მიმდებარედ. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე, წლების განმავლობაში ფუნქციონირებს გაზგასამართი სადგური. 2020 წლის 26 აგვისტოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილებით N5080216, მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების დადგენის მოთხოვნაზე პასუხად გვაცნობეს, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა, რადგან ტერიტორიაზე არსებული ფაქტობრივი გამოყენება არ შეესაბამება მასზე გავრცელებულ არსებულ ფუნქციურ ზონას . (იხ. ფურცელი 04.) თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2019 წლის 15 მარტს N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის ახალი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, ტერიტორიაზე ვრცელდება ფუნქციური ზონა- საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2). ვინაიდან აღნიშნული ზონა არ ითვალისწინებს ავტოგასამართ სადგურს, გვსურს მასზე საგამონაკლისოდ დასაშვები სახეობის მოთხოვნა. საპროექტო არეალის მიმდებარე ტერიტორიებზე, ძირითადად ვრცელდება საზოგადებრივ საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), ფუნქციურად ძირითადად განლაგებულია ავტო მომსახურების ობიექტები, როგორიცაა: ავტოგასამართი სადგურები; ავტოტექ. მომსახურების ცენტრები; ავტო დილერების ფილიალები და ა.შ. გამომდინარე იქედან, რომ ტერიტორიაზე არსებული ფაქტობრივი გამოყენება არ შეესაბამება მასზე გავრცელებულ ფუნქციურ ზონას, სსზ-2-ს, გვსურს ამავე ფუნქციური ზონის საგამონაკლისოდ დასაშვები სახეობის მოთხოვნა. რადგან აღნიშნულ ზონაში საგამონაკლისოდ, სპეციალური ზონალური შეთანხმების შედაგად, დასაშვებია, ავტოგასამართი კომპლექსი, აირგასამართი სადგური ან აირსავსები საკომპრესორო სადგური. ტერიტორიაზე იგეგმება ნავთობპროდუქტების მარიგებელი დისპენსერის დამატება ბენზინისა და დიზელის საწვავისათვის, ასევე მოეწყობა მიწისქვეშა რკ.ბეტონის სარკოფაგი ნავთობპროდუქტების სამარაგე ავზების განთავსება.
გადაწყვეტილება :	
საპროექტო ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :	ავტოგასამართი სადგური ავტოგასამართი კომპლექსი, აირგასამართი სადგური ან აირსავსები საკომპრესორო სადგური
	ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დადგინდა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის თანახმად, დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.13.01.001.080 ფართობი 2856.0 კვ.მ.) ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა-2 (სსზ-2). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) არის მაღალი ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივ- საქმიანი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (როგორც წესი გკ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს'' ქვეპუნქტის თანახმად, საზოგადოებრივ-საქამინი ზონა 2 (სსზ-2)-ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქციებით; შესაძლებელია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველმყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებული სახეობის არსებობა, არაუმეტეს შენობა-ნაგებობის/საპროექტო გადაწყვეტის საერთო ფართობის 25%-ისა, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე კი არაუმეტეს - 90%-ისა და დადგენილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების შემდეგი პარამეტრები: მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტი კ-1= 0,5* / 0,7 მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ-2= 4.6 მიწის ნაკვეთის გამწვანების მინიმალური კოეფიციენტი კ-3 =0.2/0.3* მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობი - 700 კვ.მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიგანე - 20 მ მიწის ნაკვეთის მინიმალური სიღრმე - 30 მ *მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი

გადაწყვეტილების დასაბუთება :	ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობისთვის, სადაც საცხოვრებელი ფუნქცია აღემატება 25%-ს; მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით საპროექტო მიწის ნაკვეთზე ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირების თანახმად ვრცელდება გეგმარებითი კარკასი (გკ) და შუალედური ზონა (შზ). არსებული მდგომარეობით საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებულია და ფუნქციონირებს გაზგასამართი სადგური, საპროექტო წინადადება კი ითვალისწინებს არსებული გაზგასამართი სადგურის რეკონსტრუქციას, კერძოდ, ტერიტორიაზე იგეგმება ნავთობპროდუქტების მარიგებელი დისპენსერის დამატება ბენზინისა და დიზელის საწვავისთვის, მოეწყობა მიწისქვეშა რკ.ბეტონის სარკოფაგი ნავთობპროდუქტების სამარაგე ავზების განსათავსებლად,ასევე იგეგმება ერთი არსებული გაზის დისპენსერის გაუქმება. შესაბამისად, განმცხადებლის განმარტებით, რეკონსტრქუციის შედეგად, გაზგასამართი სადგური გახდება ავტოგასამართი კომლექსი, სადაც მოხდება როგორც ბუნებრივი აირის, ასევე ნავთობპროდუქტების რეალიზაცია. ვინაიდან, აღნიშნული ფუნქციური დანიშნულების სახეობა საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ში (სსზ2) წარმოადგენს ტერიტორიების გამოყენების საგამონაკლისო წესით დასაშვებ ფუნქციური დანიშნულების სახეობას და საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული წესების დანართი N1-ის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საზოგადოებრივ - საქმიან ზონა 2-ში (სსზ-2) ავტოგასამართი კომპლექსი წარმოადგენს ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საგამონაკლისო დასაშვები სახეობებიდან ერთ-ერთს, რომელიც საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას. იმავე განაშენიანების რეგულირების წესების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სპეციალური (ზონალური) შეთანხმება წარმოადგენს ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საგამონაკლისო წესს და მისი გაცემა დასაშვებია მხოლოდ ამ წესებით განსაზღვრულ შემთხვევებში, ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სპეციალური (ზონალური) შეთანხმება გაიცემა კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის გამოყენების ისეთი სახეობის დაშვებაზე, რაც განაშენიანების რეგულირების წესების მოთხოვნებით საჭიროებს სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმებას.
დასკვნა :	„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, უძრავი ობიექტის სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით ნებადართულ სახეობაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა დასაშვებია, თუ დასაბუთდება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა გარემოება: ა) გამონაკლისი საჭიროა ტერიტორიის რაციონალური და ეფექტური გამოყენებისთვის; ბ) არ იცვლება მიმდებარე ტერიტორიის საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათი. ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე ფაქტობრივი მდგომარეობით უკვე ფუნქციონირებს გაზგასამართი სადგური, ხოლო რეკონსტრუქცია კი ითვალისწინებს როგორც არსებული ფუნქციის, ასევე დიზელის და ბენზინგასამართი სადგურის ფუნქციის დამატებას, რაც არ შეცვლის მიმდებარე ტერიტორიის საერთო ქალაქგეგმარებით ხასიათს და შესაძლებელია განხილულ იქნეს ტერიტორიის რაციონალური გამოყენების შესაძლებლობად. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტოს შესაძლებლად მიაჩნია, საპროექტო მიწის ნაკვეთზე არსებული ობიექტის ავტოგასამართი კომპლექსის (აიგასამართი სადგური, დიზელი და ბენზინგასამართი სადგური) ფუნქციით რეკონსტრქუციის მიზნით, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემა. პროექტირებისას დაცულ იქნეს მოქმედი უსაფრთხობის ნორმები. ასევე ვინაიდან, საპროექტო მიწის ნაკვეთსა და მასზე მდგომ შენობა-ნაგებობეზე ფიქსირდება იპოთეკის უფლება, ხოლო საპროექტო მიწის ნაკვეთზე თბილისის საქლაქო სამსამართლოს 2/19328-20 განჩინების საფუძველზე რეგისტრირებულია აკრძალვა, მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოში დამატებით წარდგენილ იქნეს შესაბამისი სუბიექტების პოზიცია დაგეგმილს სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით.

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი



№ 0623-0787385 D 04.05.2023

შპს „ნეოგაზი“
ელ-ფოსტა: info@neogaz.ge
ტელეფონი: 595 33 12 24

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში „კომპანია“) განიხილა თქვენი განცხადება („კომპანიაში“ რეგისტრაციის #IN23-0783886; თარიღი 26/04/2023წ). რომლითაც მოთხოვნილი იყო აღმაშენებლის ხეივანი #121-ში ს/კ 01.13.01.001.080 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ავტოგასამართ სადგურის რეკონსტრუქციის საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი პროექტი შეთანხმებულია „კომპანიის“ შესაბამის სამსახურთან, იმ პირობით, რომ წყალსადენ-წყალარინების ქსელების მიმართ დაცული იქნება საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და წესებით დადგენილი მოთხოვნები.

ასევე გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე შესაძლებელია გადიოდეს კერძო მფლობელობაში არსებული წყალსადენ-წყალარინების ქსელები, რომელთა შესახებ „კომპანია“ ინფორმაციას არ ფლობს.

ქსელის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, სამუშაოების დაწყების წინ გთხოვთ, დაუკავშირდეთ „კომპანიის“ წარმომადგენელს:

დიდუბე-ჩუღურეთის ბიზნეს ცენტრის მენეჯერი იაკობ თოდუა. ტელ: 551 11 44 77.

დანართი: საპროექტო დოკუმენტაცია - 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

გიორგი სვანიშვილი
კომერციული დირექტორი

შემსრულებელი: ლ. გაგნიძე; ჯ. ჩაჩხალია
ტელეფონი: 293 11 11 (21-02); (11-27)



ექსპლიკაცია:

1. ადმინისტრაციული შენობა
2. გაზის საკომპრესორო დანადგარების შენობა.
3. მძღოლების და მგზავრების მოსაცდელი.
4. არსებული გაზის დისპენსერი ფარდულის ქვეშ.
5. დამხმარე სათავსი.
6. საპროექტო ნავთობპროდუქტების დისპენსერი.
7. საპროექტო ნავთობპროდუქტების სამარაგო მიწისქვეშა ავზი რეზერვუარის სარკოფაგში.

GWP შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"
დიდუბე-ჩუღურეთის ბიზნეს ცენტრი
შეთანხმებულია
ხელმძღვანელი
რეგ. № "3" 05 2018წ.
სამუშაოების დაწყების წინ გამოძახებულ იქნას GWP-ს წარმომადგენელი
ტელ: 032 2 93 11 11

სილქნეტი
SILKNET

№ 2311/24-8 "08" 05 2023

შპს „ნეოგაზი“-ს დირექტორს
ბატონ ნუგზარ ნათოზაიძეს
ქ. თბილისი, გაზაფხულის ქ. #18
ტელ: 2210331

ბატონო ნუგზარ,

თქვენგან შემოსული წერილის (#32-6/1; 26/04/2023წ.) პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, აღმაშენებლის ხეივანი #121-ში, მიწის ნაკვეთზე ს. კოდით 01.13.01.001.080 ავტოგასამართი სადგურის რეკონსტრუქციისთვის სს „სილქნეტის“ თანხმობას.

გაცნობებთ, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე წითელი ხაზის გასწვრივ გადის სს „სილქნეტის“ მიწისქვეშა კომუნიკაცია, რომელსაც გაწვდით თანდართულ CD დისკზე შეიპ ფაილის ფორმატში. წარმოდგენილი გენ-გეგმის თანახმად საპროექტო ობიექტი და სს „სილქნეტის“ მიწისქვეშა კომუნიკაცია არ მოდის კვეთაში ერთმანეთთან. სს „სილქნეტი“ არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ ავტოგასამართი სადგურის რეკონსტრუქცია ქვემოთ მოცემული პირობების სრული დაცვით.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ნაკვეთზე სამუშაოების წარმოებისას სს „სილქნეტის“ კუთვნილ ნებისმიერი სახის კომუნიკაციას დაემუქრება დაზიანების საფრთხე, განმცხადებელი(სამუშაოების მწარმოებელი) ვალდებულია:

დაუყოვნებლივ შეაჩეროს სამუშაოები;

აღნიშნული ფაქტი შეატყობინოს სს „სილქნეტი“-ს წარმომადგენელს ელექტრონული ფოსტის(Info.Center@silknet.com) ან ოპერატიული სამსახურის ნომრებზე: 2950029 ან 2932740.

სამშენებლო მოედნის მოწყობის შემთხვევაში სს „სილქნეტის“ წარმომადგენლებს უნდა ჰქონდეს 24 საათიანი დაშვება კუთვნილ კომუნიკაციებთან.

სს „სილქნეტის“ კომუნიკაციის დაზიანების შემთხვევაში დაგეკისრებათ ზარალის ანაზღაურების ვალდებულება.

სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად გამოძახებულ იქნას ჩვენი წარმომადგენელი ზემოთ აღნიშნულ ტელეფონის ნომრებზე.

პატივისცემით

ტექნიკური განვითარების და დაგეგმარების
დეპარტამენტის უფროსი
ასტამურ აჩბა

საქართველო, 0112 თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. 95
ტელ.: (+995 32) 2 100000; ფაქსი: (+995 32) 2 100001
სს „სილქნეტი“, ს/კ 204566978 www.silknet.com

95 Tsinamdzgvrishvili Street, 0112 Tbilisi, Georgia
Tel.: (+995 32) 2 100000; Fax: (+995 32) 2 100001
JSC „Silknet“, I/C 204566978 www.silknet.com



ექსპლიკაცია:

1. ადმინისტრაციული შენობა
2. გაზის საკომპრესორო დანადგარების შენობა.
3. მძღოლებისა და მგზავრების მოსაცდელი.
4. არსებული გაზის დისპენსერები ფარდულის ქვეშ.
5. დამხმარე სათავსი.
6. საპროექტო ნავთობპროდუქტების დისპენსერი.
7. საპროექტო ნავთობპროდუქტების სამარაგე მიწისქვეშა ავზი რკინაბეტონის სარკოფაგში.

შენიშვნა: გენგეგმაზე დატანილი მანძილის მაჩვენებლებში ლურჯ ფერად ნაჩვენებია რეალური მანძილი, ხოლო (ფიოლეტად) - მოცემულია მინიმალური დასაშვები დაშორება ობიექტებს შორის СП 156.13130.2014.-ის შესაბამისად.

სს "სილქნეტი"
შეთანხმებულია
სამუშაოს დაწყების წინ გამოძახებულ იქნას სს "სილქნეტის" წარმომადგენელი
ოპერატიული მართვა: 2 95 00 29, 2 93 27 40
ტექნიკური განყოფილება
თარიღი 4.05.23წ.

დამკვეთი: შ.პ.ს. "ნეოგაზი"	შ.პ.ს. "აი სი გრუპი" L.T.D. "IC GROUP"			შემსრულებელი:
არქიტექტურული ნაწილი	დირექტორი		ლ. ნასარიძე	
ბენზინგასამართი სადგური ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი №121 (ს/კ 01.13.01.001/080) რეკონსტრუქცია	არქიტექტორი		ლ. ნასარიძე	
გენერალური გეგმა (საპროექტო)	სტადია	მასშტაბი	ფურცელი	ფორმატი
	მ.პ.	---	1	A-3